**პრეს რელიზი**

## ტრადიციული რეწვის ინიციატივამ საქართველოში

## 2017 წლის ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზი / ევროპა ნოსტრას ჯილდო მოიპოვა

**2017 წლის 5 აპრილი, ბრიუსელი / ჰააგა** - დღეს ევროკომისიამ და ევროპა ნოსტრამ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი აღიარების - ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს 2017 წლის მფლობელები გამოავლინეს. აღიარება 4 ნომინაციაში - კონსერვაცია; კვლვა; განსაკუთრებული ღვაწლი; განათლება, სწავლება და ცნობიერების ამაღლება - 18 ქვეყნის 29 ლაურეატმა მოიპოვა. ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში წლევანდელ გამარჯვებულთა შორისაა. ლაურეატების გამოსავლენად დამოუკიდებელმა ჟიურიმ ევროპის 39 ქვეყნის სხვადახვა ორგანიზაციის და ინდივიდებისგან მიღებული 202 განაცხადი განიხილა.

მოქალაქეებს მთელი მსოფლიოდან შესაძლებლობა აქვთ ხმა მისცენ პროექტებს პრიზის „საზოგადოების რჩეული“ მფლობელის გამოსავლენად. ხმის მიცემის დროს მათ აქვთ შანსი მოიგონ 2 კაციანი საგზური დაჯილდოვების საზეიმო ცერემონიალზე დასასწრებად, რომელიც გაიმართება 2017 წლის 15 მაისს ფინეთის ისტორიულ ქალაქ ტურკუში. ცერემონიაზე დასახელდება გრან პრის / €10,000-იანი ფულადი პრემიის 7 მფლობელი და პრიზის „საზოგადოების რჩეული“ გამარჯვებული.

„ვულოცავ ყველა გამარჯვებულს. მათი მიღწევები მიუთითებენ ევროპელების აქტიურ ჩართულობაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში. გამარჯვებული პროექტები ნათლად წარმოაჩენენ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი ცხოვრებისა და საზოგადოებისთვის. დღეს, როდესაც ევროპა მნიშვნელოვანი სოციალური გამოწვევების წინაშე დგას, კულტურა განსაკუთრებულ როლს იძენს ჩვენი საერთო ისტორიის და ღირებულებების წარმოჩენაში, ტოლერანტობის, ურთიერთგაგების და სოციალური ჩართულობის მიღწევაში. 2018 წელი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ევროპულ წლად არის გამოცხადებული იდეალური შესაძლებლობაა ხაზი გავუსვათ ჩვენს გამაერთიანებელ ასპექტებს - საერთო ისტორიას, კულტურას და მემკვიდრეობას. ევროკავშირი, შემოქმედებითი ევროპის პროგრამის ფარგლებში, შემდგომშიც გააგრძელებს აღნიშნული პრიზის და კულტურული მემკვიდრეობის სხვა პროექტების მხარდაჭერას.“ - აღნიშნა ტიბორ ნავრაჩიჩმა, ევროკომისარმა განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის საკითხებში.

„გულითადად ვულოცავ წლევანდელ გამარჯვებულებს და ქედს ვიხრი ყველას წინაშე ვინც არაჩვეულებრივი ნიჭის და დაუზოგავი შრომის წყალობით შეძლო ამ გამორჩეული შედეგის მიღწევა. ისინი შედიან იმ 450 პროექტთა რიცხვში, რომელიც დაჯილდოვდა ევროპა ნოსტრას და ევროკომისიის მიერ ბოლო 15 წლის განმავლობაში. ყველა გამარჯვებულმა ნათლად წამოაჩინა, რომ მემკვიდრეობა არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, სოციალური ჩართულობის და ერთიანი ევროპის ქვაკუთხედი. ევროპის ლიდერებმა უნდა გამოიყენონ ისტორიული შანსი, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ევროპული წელი იძლევა და მოახდინონ მემკვიდრეობის მრავალმხრივი მნიშვნელობის და მისი, როგორც ევროპული და მის მიღმა მდებარე ქვეყნების, ხალხების და კულტურების დაახლოების ძირეული ფაქტორის აღიარება.“ - განაცხადა პლასიდო დომინგომ, ცნობილმა ოპერის მომღერალმა და ევროპა ნოსტრას პრეზიდენტმა.

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს 2017 წლის გამარაჯვებულების დაჯილდოვება გაიმართება 15 მაისს ფინეთის ქალაქ ტურკუს წმ. მიქაელის ეკლესიაში და მას წარუძღვებიან ევროკომისარი ტიბორ ნავრაჩიჩი და მაესტრო პლასიდო დომინგო. ცერემონიას დაესწრება 1200-მდე ადამიანი: მემკვიდრეობის სფეროს პროფესიონალები, მოხალისეები და მხარდამჭერები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, ასევე ევროკავშირის ინსტიტუციების წარმომადგენლები მასპინძელი და წევრი ქვეყნებიდან.

გამარჯვებულებს შესაძლებლობა ექნებათ წარადგინონ თავიანთი მიღწევები სპეციალურ სესიაზე 14 მაისს ტურკუს კონსერვატორიაში, ასევე 11-15 მაისს მონაწილეობა მიიღონ ევროპა ნოსტრას მიერ ორგანიზებული

ევროპის მემკვიდრეობის კონგრესის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში; კონგრესი კულტურული მემკვიდრეობის არსებული პრობლემების და მიღწევების შესახებ მსჯელობის პლატფორმას წარმოადგენს. წლევანდელ შეკრებაზე აღნიშნული საკითხები 2018 - კულტურული მემკვიდრეობის წლის ჭრილში იქნბა განხილული.

განაცხადები 2018 წლის კონკურსისთვის მიიღება 2017 წლის 15 მაისიდან 1 ოქტომბრამდე. დეტალები იხილეთ ვებგვერდზე.

**საკონტაქტო ინფორმაცია**

**ევროპა ნოსტრა**
ჯოანა პინეირო / Joana Pinheiro
jp@europanostra.org, +31 70 302 40 55
ელენა ბიანკი / Elena Bianchi
eb@europanostra.org, +31 70 302 40 58

**ევროკომისია**
ნატალი ვანდისტადი / Nathalie Vandystadt
nathalie.vandystadt@ec.europa.eu, +32 2 2967083
ჯოზეფ ვალდსტეინი / Joseph Waldstein
joseph.waldstein@ec.europa.eu, +32 2 2956184

**ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში**
მაკა დვალიშვილი / Maka Dvalishvili
maka@gaccgeorgia.org
+995 32 2931335, +995 599506448

**შიეტყვეთ მეტი**
გამარჯვებული პროექტების შესახებ:
ინფორმაცია და ჟიურის კომენტარები,
მაღალი ხარისხის ფოტოები and ვიდეოები
Twitter: @europanostra

შემოქმედებითიე ევროპის ვებ. გვერდი
Twitter: @europe_creative
ევროკომისრის ტიბორ ნავრაჩიჩის
ვებგვერდი

www.gaccgeorgia.org

## 2017 წლის გამარჯვებულები

*(ანბანის მიხედვით)*

### კატეგორია - კონსერვაცია

- დიდი ბატონების სასახლის ბასტიონი როდოსში, საბერძნეთი
- თეთრი პირამიდა რომში, იტალია
- კაპ ენდეროკატის ციხესიმაგრე, მალიორკა, ესპანეთი
- კლერიგოს ეკლესია და კოშკი პორტოში, პორტუგალია კრომფორდის წისქვილი: შენობა 17, დერბშირი, გაერთიანებული სამეფო
- კუკსის ბაროკოს კომპლექსი და ბაღი, ჰრადეკ კრალოვეს რეგიონი, ჩეხეთის რესპუბლიკა
- კულტურის სასახლე ბლაჟში, ტრანსილვანიის რაიონი, რუმინეთი
- სან ხუანის მონასტრის ნანგრევების სახურავი, ბურგოსი, ესპანეთი
- უძველესი ქალაქი კართეა, კუნძული კეა, საბერძნეთი
- ფაილფჯელის მეფეთა გზა, ნორვეგია
- წმ. მარტინის ეკლესია სტარი ბროდში, სისაკთან, ხორვატია

### კატეგორია -კვლევა

- ბოხის კვლების და კონსერვაციის პროექტი, ჰერტოგენბოხი, ნიდერლანდები
- 'ევროპის კარნავალის მეფე', სან მიშელ ალლადიჟი, იტალია
- როდეს საკურთხევლის კვლევის და კონსერვაციის პროექტი, ტალინი, ესტონეთი
- პირანეზის მუზეუმი, მილანი, იტალია

### კატეგორია - განსაკუთრებული ღვაწლი

- ბ-ნი ზოლტან კალოსი, ტრანსილვანიის რაიონი, რუმინეთი
- ბ-ნი ფერდინანდ მედერი, ზაგრები, ხორვატია
- ბ-ნი ჯიმ კალერი, როსკომონის საგრაფო, ირლანდია
- ნორვეგიის შუქურების საზოგადოება, ნორვეგია

## კატეგორია - განათლება, სწავლება და ცნობიერების ამაღლება

- ვიზუალური ხელოვნების და კვლევის ცენტრი, ნიქოზია, კვიპროსი
- ებრაული კულტურული მემკვიდრეობა: საგანმანათლებლო პროგრამა, ვარშავა, პოლონეთი
- ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში, თბილისი, საქართველო
- პაავო ნურმის მემკვიდრეობის პროგრამა, ტურკუ, ფინეთი
- პროექტი „კულტურული მემკვიდრეობაზე ბარიერების გარეშე წვდომა“, ბერლინი, გერმანია
- ჩეხეთის კულტურული მემკვიდრეობის საგანმანათლებლო პროგრამა, ტელცი, ვისოჩინას რაიონი, ჩეხეთის რესპუბლიკა
- ძეგლების და ისტორიული ნაგებობების სტრუქტურული ანალიზის სამაგისტრი პროგრამა, ევროპული პროგრამა, რომლის კოორდიანციაც ხორციელდება გუიმარესში, პორტუგალია
- *ilCartastorie*: ამბების თხრობა არქივში, ნეაპოლი, იტალია
- Erfgoedplus: მემკვიდრეობის ონლაინ პლატფორმა, ჰასსლეტი, ბელგია
- SAMPHIRE: საზღვაო მემკვიდრეობის პროექტი დასავლეთ შოტლანდიაში, გაერთიანებული სამეფო

ევროპა ნოსტრას ჯილდო ასევე გადაეცა 2 პროეტს, რომელიც განხორციელდა ქვეყნებში, რომლებიც არ არიან შემოქმედებითი ევროპის პროგრამის წევრები.

კატეგორიაში კონსერვაცია: ქილიჩ ალი ფაშას აბანო სტამბულში, თურქეთი
კატეგორაში კვლევა: ფილიპ სტერნის საათების კოლექცია, ჟენევა, შვეიცარია

## ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში, თბილისი, საქართველო

„არამატერიალური მემკვიდრეობის მატერიალური მხარე: ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში“ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მასშტაბური პროექტია, რომელიც ქართული ტრადიციული რეწვის უნიკალური დარგების შენარჩუნებას ემსახურება. პროგრამა უზრუნველყოფს აღნიშნული ტრადიციების თაობიდან თაობაზე გადაცემას რეწვის ოსტატებსა და შეგირდებს შორის ურთიერთკავშირის დამყარების გზით. პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ევროპისთვის აქტუალურ პრობლემას - დაკარგვის პირას მყოფი დარგების შენარჩუნებას და გვთავაზობს მისი გადაჭრის ქმედით გზებს საქართველოსთვის და ევროპის მსგავსი რეგიონებისთვის.

აღნიშნული ინიციატივის წარმატება განაპირობა განხორციელებული ქმედებების ეფექტურმა დაგეგმვამ, რომელიც დაეფუძნა პროექტის ფარგლებში ჩატარებული წინასწარი კვლევებით გამოვლენილ ფაქტობრივ მონაცემებს. კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ, შემუშავდა აქტივობების ფართო სპექტრი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო, საერთაშორისო ექსპერტების მიერ ადგილობრივი პედაგოგებისთვის ჩატარებულ ტრენინგებს ისეთ პრობლემურ საკითხებში, როგორიცაა პროდუქციის განვითარება, ხარისხის სტანდარტები, მარკეტინგი და სხვა. თავის მხრივ, ქართველი პედაგოგები ადგილობრივ ოსტატებს და მათ შეგირდებს გადასცემდნენ საერთაშორისო ექსპერტების მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. ოსტატების ბიზნეს უნარების განვითარებას და მათი პროდუქციის მარკეტინგის ხელშეწყობას ინიციატივა ტრადიციული რეწვის მდგრადობის უზრუნველყოფის პრაქტიკულ მეთოდად განიხილავს.

ჟიურიმ სათანადოდ შეაფასა პროგრამის „ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში“ მრავალმხრივი მიდგომა და აღნიშნა: *„ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული საერთაშორისო ტრენინგების პროგრამას საქართველოსთვის უპრეცენდენტო მასშტაბი აქვს. შთამბეჭდავია პროგრამაში არსებული აქტივობების ფართო სპექტრი, რომელიც მიზნად ისახავს ერთის მხრივ ტრადიციული რეწვის აღორძინებას და მეორეს მხრივ, წარმატებული ბიზნეს მოდელების შექმნას და დარგის მდგრადობის უზრუნველყოფას“.*

*„ტრადიციული უნარების თაობიდან თაობაზე გადაცემის მნიშვნელობის ხაზგასმის პარალელურად, პროგრამამ აღნიშნული ტრადიციები ქვეყნის მოსახლეობის, მათ შორის, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების, სასოფლო და მთიანი რაიონების მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სამსახურში ჩააყენა. ეს ქმედება კულტურას განვითარების პროცესის ცენტრში აყენებს და ამყარებს მის როლს მდგრადი ეკონომიკის შექმნაში“* - აღნიშნავს ჟიური.

პროგრამამ „არამატერიალური მემკვიდრეობის მატერიალური მხარე: ტრადიციული რეწვის ინიციატივა საქართველოში“ შეძლო სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ინფორმირებულობის ამაღლება ტრადიციული რეწვის დარგის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელობის შესახებ. ინიციატივამ ასევე

მოიცვა ადგილობრივი მთავრობის ცნობიერების ამაღლების კამპანია; შესაბამისი უნარების თაობიდან თაობაზე გადაცემის საქმეში ოსტატ-პედაგოგთა ღვაწლის აღიარების მიზნით დააფუძნა ყოველწლიური კონკურსი - „წლის საუკეთესო ოსტატი-პედაგოგი“.

## წინაპიროპა

### ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზი / ევროპა ნოსტრას ჯილდო

ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზი / ევროპა ნოსტრას ჯილდო დაარსდა 2002 წელს ევროკომისიის მიერ და მას შემდეგ მას განახორციელებს ევროპა ნოსტრა. პროგრამა წარმოაჩენს მემკვიდრეობის კონსერვაციის, კვლევის, მენეჯმენტის, განათლების და კომუნიკაციის სფეროს საუკეთესო მაგალითებს და ამით ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ევროპის ეკონომიკის და საზოგადოების სტრატეგიული რესურსის როლის აღიარებას. პრიზის მხარდამჭერია ევროკავშირის შემოქმედებითი ევროპის პროგრამა.

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში კონკურსში წარდგენილი იქნა 2720 განაცხადი 39 ქვეყნიდან. შემოსული განაცხადების რაოდენობით ლიდერობენ ესპანეთი - 498 პროექტი, გაერთიანებული სამეფო - 286 განაცხადი და იტალია -278. კატეგორიების მიხედვით ყველაზე მეტი პროექტია წარდგენილი კონსერვაციის ნომინაციაში (1606), მას მოსდევს განათლება, სწავლება და ცნობიერების ამაღლება (457), კვლევა (340) და ბოლოს, განსაკუთრებული ღვაწლი (317).

გამარჯვებულთაგან 95 პროექტს გადაეცა გრანპრი - 10000 ევროს ფულადი პრემია.
ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზი / ევროპა ნოსტრას ჯილდო საუკეთესო პრაქტიკების წარმოჩენის, გამოცდილების გაზიარების და საერთაშორისო კავშირების დამყარების გზით აძლიერებს კულტურული მემკვიდრეობის სექტორს ევროპაში. იგი ასევე ეხმარება გამარჯვებულებს დაფინანსების მოპოვებასა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაში. პრიზი ასევე ხელს უწყობს ჩვენი საერთო მემკვიდრეობის პოპულარიზაციას ფართო საზოგადოებაში.

### ევროპა ნოსტრა

ევროპა ნოსტრა წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პანევროპულ ფედერაციას, რომელსაც მხარს უჭერენ როგორც კერძო კომპანიები, ასევე საჯარო დაწესებულებები და ინდივიდები. ორგანიზაცია აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. ევროპა ნოსტრა დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული ქსელია. ორგანიზაციის პრეზიდენტია მსოფლიოში ცნობილი ოპერის მომღერალი და დირიჟორი პლასიდო დომინგო.
ევროპა ნოსტრა პროგრამის „საფრთხის ქვეშ მყოფი 7 ძეგლი“ ფარგლებში ახორციელებს ევროპაში განადგურების პირას მყოფი ძეგლების და ლანდშავფეტბის გადარჩენის კამპანიას. იგი წარმოაჩენს სფეროს მიღწევებს ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის პრიზის / ევროპა ნოსტრას ჯილდოს მეშვეობით. ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ ინსტიტუციებთან და ევროპული მემკვიდრეობის ალიანსთან 3.3, რითაც თავისი წვლილი შეაქვს მემკვიდრეობის სფეროში ევროპული სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში

### შემოქმედებითი ევროპა

შემოქმედებითი ევროპა წარმოადგენს ევროკავშირის ახალ პროგრამას, რომელიც მიმართულია კულტურის და შემოქმედებითი სექტორების გაძლიერებისკენ. პროგრამის 2014-2020 წლების ბიუჯეტს €1.46 მილიარდი შეადგენს. შემოქმედებითი ევროპა მხარს უჭერს ორგანიზაციებს რომლებიც მოღვაწეობენ კულტურული მემკვიდრეობის, საშემსრულებლო ხელოვნების, სახვითი ხელოვნების, ინდერდისციპლინარული ხელოვნების, საგამომცემლო, კინოინდუსტრიის, ტელევიზიის, მუსიკის და ვიდეო თამაშების სფეობში, ასევე ათობით ათას მხატვარს, კულტურის და აუდიოვიზუალური ხელოვნების პროფესიონალს. დაფინანსება მათ შესაძლებლობას აძლევთ განავრცონ თავიანთი მოღვაწეობა მტელი ევროპის მასშტაბით, მოიზიდონ ახალი აუდიენცია და განავითარონ თავიანთი უნარები.